ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 02-156

ქ. თბილისი

„2." „ივლისი" 2014წ.

ერთი მხრივ, **სსიპ „იუსტიციის სახლი"**, შემდგომში - „შემსყიდველი", ფინანსური ოპერაციების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის **კახაბერ თეთრუაშვილის** სახით, და მეორე მხრივ, **შ.პ.ს. „გუდვილი"** , შემდგომში - „მიმწოდებელი", დირექტორის **ბესიკ ჯიქურაული** სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე**, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია **სსიპ „იუსტიციის სახლი"-ს საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სასმელები, თამბაქო და მონათესავე ნივთების შესყიდვა (CPV15980000).**

1.2. ხელშეკრულების საგანია უალკოჰოლო სასმელების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების დანართის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება **დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 36,00 (ოცდათექვსმეტი ლარი) ლარს.**

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ერთეულისა და საერთო ფასი მოცემულია დანართის სახით.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. საქონლის მოწოდების პირობები

3.1 ვადები:

3.1.1. საქონლის მოწოდება განხორციელდება ერთიანად, **ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.**

3.2. ადგილი:

3.2.1. საქონლის მოწოდების ადგილია: **ქ. თბილისი, სანაპიროს 2 (თბილისის იუსტიციის სახლი).**

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.1.1. გადასცეს შემსყიდველს ხარისხისიანი, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

4.1.2. უზრუნველყოს, მოწოდებულ შესყიდვის ობიექტზე ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, საჭიროების შემთხვევაში წუნდებული საქონლის შეცვლა;

4.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

4.1.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

4.2.1.ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაიხადოს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.ინსპექტირების პირობები

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება როგორც შესყიდვის ობიექტის მოწოდების დროს, ასევე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს **სსიპ „იუსტიციის სახლი"-ს სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური.**

6.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების მე–5 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

7.ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

7.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

7.1.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს პირგასამტეხლო მიმწოდებელს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით.

10. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი).

10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით.

11.სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ დავა, რომელიც წარმოქმნება ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2. თუ მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, მხარეს შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთერთშეთანხმებით, ასევე, საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან** და **მოქმედებს 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.**

14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია **სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი–შემსყიდველს.**

15. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

სსიპ „იუსტიციის სახლი“

მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2,

საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი“
BIG კოდი: BAGAGE22
ანგ. N GE15BG 0000000291279900
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 580 202

ფინანსური ოპერაციების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

კახაბერ თეთრუაშვილი

„მიმწოდებელი“

შპს „გუდვილი“

მის: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზN9

საბანკო რეკვიზიტები:
ს .ს. „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22
ა .ა. GE60BG0000000704007300

საიდენტიფიკაციო კოდი: 206343991

გენერალური დირექტორი,

ბესიკ ჯიქურაული

დანართი

N	დასახელება და აღწერილობა	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
1	გაზირებული გამაგრილებელი სასმელი - „კოკა-კოლა“, 0,5ლ. პლასტმასის ბოთლში	ცალი	20	1,05	21,00
2	გაზირებული მინერალური წყალი - „ბორჯომი“, 0,5ლ. პლასტმასის ბოთლში	ცალი	20	0,75	15,00

სულ: 36.00 ლარი

„შემსყიდველი“

სსიპ „იუსტიციის სახლი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 580 202

ფინანსური ოპერაციების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კახაბერ თეთრუაშვილი

„მიმწოდებელი“

შპს „გუდვილი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 206343991

გენერალური დირექტორი,

ბესიკ ჯიქურაული